

**პროგრამის სახელწოდება:** ფარმაცია /Pharmacy

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფარმაციის ბაკალავრი /Bachelor of Pharmacy

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზე ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგინს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

**პროგრამის მიზნები:**

მომზადოს კვალიფიციური ბაკალავრები ფარმაციის სპეციალობით, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი თანამედროვე მრომის ბაზარზე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტების მიღლოს სფეროს ფართო ცოდნა. რომელიც მოიცავს თეორიულისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. მისცეს მას თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ფარმაციის დარგში სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, რაც აუცილებელია მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისთვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისთვის, მომზადოს პრაქტიკოსი ფარმაცევტი, რომელიც შეძლებს მოიპოვოს თავისითვის საჭირო ინფორმაცია და გამოიყენოს იგი პრაქტიკაში. შეძლოს საფთაქო პირობებში ექსტემპორალური წამლის ფორმის მომზადება ინდივიდუალური რეცეპტების საფუძველზე. ჰქონდეს სამკურნალო საშუალებების ანალიზის უნარი. შეძლოს დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. ჩამოუყალიბოს პროფესიული და პიროვნული ღირებულებები. საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელოვანი ამოცანაა პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრების მომზადება ფარმაციის სპეციალობით, რომლებსაც შეეძლებათ ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო - პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება, ხარისხის კონტროლი, სტანდარტიზაცია და მოსახლეობის უზრუნველყოფა ეფექტური ხარისხიანი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საშუალებებით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგნილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგნილი წესების დაცვით.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

**სწავლის შედეგები:**

**დარგობრივი უნარები:**

შეისწავლოს ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ანალიზური, ფიზიკური, ტოქსიკოლოგიური და კოლოიდური ქიმიის საფუძვლები; მედიკო-ბიოლოგიური დისციპლინები: ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, პათოლოგია, ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ბიოქიმია, ჰიგიენა, ფარმაკოლოგია,

ფარმაკოგინეტიკა, კლინიკური ფარმაცია, ფარმაკოთერაპია, პროფილური დისციპლინები: ფარმაცევტული ქიმია, ფარმაკოგნოზია, წამალთა ფორმების ტექნოლოგია.

ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ეკონომიკა. აქვს ცოდნა სააფთიაქო საქმის, ფარმაცევტული წარმოების, ფარმაცევტული მენეჯმენტის განხრით. ექვება ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა, იცის მომხმარებლისათვის ფარმაცევტული დახმარების აღმოჩენა, (დოზირება, გამოყენება, უსაფრთხოება, წამალთფორმები და ა.შ.) აქვს ცოდნა ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალწამლო საშუალებების რაციონალური შერჩევის შესახებ. იცის სპეციალისტის დაქვემდებარებული (ფსიქოტროპული, ნარკოტიკული) სამკურნალწამლო საშუალებების აღრიცხვა და გაცემა. ძირითადი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური კანონზომიერებების შესაბამის პროცესებასა და მოვლენებზე ნორმაში და პათოლოგიის დროს ცოდნა.

წამლის კლინიკური ეფექტურობისა და ღირებულებითი ეფექტურობის შეფასება. იცის აფთიაქებში, ლაბორატორიებსა და ფარმაცევტულ საამქროებში მუშაობის წესები.

ფლობს ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო - პროფილაქტიკური საშუალებების დამზადების უნარს. აქვს სამკურნალო ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, მზა წამლის ფორმების შენახვის პირობების უზრუნველყოფისა და დაცვის უნარი.

ეფექტური, უვნებელი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით მომხმარებლის უზრუნველყოფის უნარი. რეცეპტის მიხედვით წამლის გაცემის, ღირებირების, დანიშნულების მიღებისა და გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უნარი. ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებების რაციონალური შერჩევის უნარი.

სპეციალის დაქვემდებარებული (ფსიქოტროპული, ნარკოტიკული) სამკურნალო საშუალებების აღრიცხვისა და გაცემის უნარი. წამლის შენახვის, წამლის მზა ფორმების შეფუთვა-გაფორმების და რეალიზაციის უნარი. წამლის კლინიკური ეფექტურობისა და ღირებულებითი ეფექტურობის შეფასების უნარი. ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარების და პრაქტიკაში გამოყენების უნარი. (სამკურნალო საშუალებების მომზადება, (სამკურნალო საშუალებების ანალიზი). აქვს აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის უნარი და მათგან მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შეუძლია პრობლემების გადაჭრა და გადაწყვეტილებების მიღება კონკრეტულ სიტუაციაში. ფარმაცევტულ პრაქტიკაში სამართლებრივი პრინციპების გამოყენების უნარი. შეუძლია შეამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების დოზების შემოწმება ასავის შესაბამისად.

#### ზოგადი კომპეტენციები:

შეუთავსებელი ან არასწორად გამოწერილი რეცეპტების შემთხვევაში ექიმთან ურთიერთობისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი. პოლიპრაგმაზიის პრევენციული ხედვა და დროული რეაგირების უნარი.

გააჩნია ანალიზისა და სინთეზის უნარი, შეუძლია მონაცემების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.

დაამყაროს კომუნიკაცია, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სეპციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა მშობლიურ და უცხო ენაზე. ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად გამოყენების უნარი

ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეფექტურად კომუნიკაციის უნარი

შეუძლია თვითშეფასება, საკუთარი შესაძლებლობებისა და სწავლის შედეგების შეფასება. იცის როგორ გაიუმჯობესოს პროფესიული ცოდნა. შეუძლია დაგეგმოს მაგისტრატურაზე შემდგომი სწავლის აუცილებლობა.

მომხმარებლის უსაფრთხოების და უფლებების დაცვის უნარი. გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგნება. მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკიდრებლად.

#### სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღმატებოდეს შუალედური შეფასებების 60 %-ს და დასკვნითი გამოცდის 60%-ს. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული

შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

#### **დასაქმების სფეროები:**

პროგრამის კურსდამთავრებული ფარმაციის ბაკალავრი შეეძლება დასაქმდეს:

სააფთიაქო ქსელის ნებისმიერი ტიპის ფარმაცევტულ დაწესებულებაში (საცალო, საბითუმო, კლინიკის, ფარმაცევტული ბაზა); - ფარმაცევტულ საწარმოში;წამლის ხარისხის კონტროლისა და სასამართლო—სამედიცინო ექსპერტიზის ანალიზურ ლაბორატორიებში - ;ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების საჯარო სამსახურში; - სპეციალიზებულ სასწავლო და სამეცნიერო—კვლევით დაწესებულებებში; - ადგილობრივ და უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიებში; - შეუძლია შექმნას და მართოს საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესი.

#### **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:**

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე –მაგისტრატურაში შესაბამის ან მომიჯნავე სპეციალობაზე კანომდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის სტრუქტურა:

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს:

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს 45 კრედიტის ოდენობით, აქედან 40 კრედიტია სავალდებულო და 5 კრედიტია არჩევითი 25 კერდიტიდან.

მირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსებს 165 კრედიტი, რომელიც წარმოდგენილია ოთხი მოდულისა (ქიმიის, წარმალთა ტექნოლოგიის, ფარმაცევტული ქიმიისა და ფარმაციის ორგანიზაციის) და ცალკეული სასწავლო კურსების სახით, მირითადი სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს 10 კრედიტი,

თავისუფალი არჩევით სასწავლო კურსებს - 15 კრედიტი, 10 კრედიტი ეთმობა საწარმოო პრაქტიკას.